საქართველოს
კონკურენციის
ეროვნული სააგენტო

თანამშრომლობის პროგრამა

გზამკვლევი დოკუმენტი ეკონომიკური აგენტებისათვის

2022

სარჩევი

3 შესავალი

4 1. თანამშრომლობის პროგრამის არსი

5 2. თანამშრომლობის პროგრამით სარგებლობის პირობები

5 2.1. თანამშრომლობის პროგრამით მოსარგებლე პირები

6 2.2. თანამშრომლობის პროგრამით გათვალისწინებული შეღავათებით სარგებლობის პირობები

6 2.3. თანამშრომლობის პროგრამით გათვალისწინებული განაცხადის წარდგენა

6 2.3.1. განაცხადის ფორმა და წარდგენის წესი

7 2.3.2. განაცხადის განხილვის პროცედურა და შეღავათის პირობითი სტატუსი

9 3. სააგენტოს გადაწყვეტილება

10 4. საერთაშორისო მიმოხილვა

10 4.1. სტატისტიკური ინფორმაცია

13 4.2. ევროკომისიის გადაწყვეტილებები

შესავალი

კონკურენციის სამართლის მიზანს წარმოადგენს ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა. კონკურენციის სამართალი ეკონომიკურ აგენტებს უკრძალავს რაიმე სახის პირდაპირ ან არაპირდაპირ შეთანხმებას, რომლის მიზანი ან შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვა.

ევროკავშირის კანონმდებლობა ითვალისწინებს თანამშრომლობის პროგრამას, რომელიც Leniency[1]-ს სახელითაა ცნობილი. ამ პროგრამის შემოღება კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების (შემდგომში „შეთანხმება", „კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმება") გამოვლენისა და აღკვეთისათვის, ერთ-ერთი ყველაზე რევოლუციური გადაწყვეტილება იყო ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში.

კარგად ფუნქციონირებად თანამშრომლობის პროგრამას შეუძლია როგორც არსებული შეთანხმებების გამოვლენა, ასევე, მათი სამომავლო პრევენცია[2]. ხსენებული პროგრამის ეფექტიანი ფუნქციონირების შედეგად, ბიზნესის წარმომადგენლები და კონკურენციის ორგანოები, ერთობლივად მონაწილეობენ ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაუმჯობესების პროცესში.

თანამშრომლობის პროგრამა გულისხმობს შეთანხმებაში მონაწილე პირის სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლებას პასუხისმგებლობისგან. მსგავსი პროგრამა მოქმედებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებშიც. პროგრამით სარგებლობის წესი და პროცედურები განსაზღვრულია ევროკომისიის შესაბამისი რეკომენდაციით.

> ევროკავშირის წესების მსგავსად, ქართული კანონმდებლობაც ითვალისწინებს კანონით დადგენილი პასუხისმგებლობისაგან ეკონომიკური აგენტების სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლების შესაძლებლობას, თუ დაკმაყოფილებულია შესაბამისი პირობები.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია ეკონომიკური აგენტებისათვის იმ ძირითადი პრინციპებისა და წესების განმარტება, რომელთა არსებობის შემთხვევაში, სამართალდარღვევის მიუხედავად, მათ ეძლევათ შესაძლებლობა, სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლდნენ დაკისრებული პასუხისმგებლობისაგან.

დოკუმენტში წარმოდგენილია თანამშრომლობის პროგრამის მოკლე მიმოხილვა, მისი მიზანი და პირობები. ასევე, მოცემულია ინფორმაცია განაცხადის წარდგენის ფორმის, პროცედურების და შეღავათის კატეგორიების შესახებ. საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩოს გარდა, დოკუმენტი შეიცავს საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითებს, თანამშრომლობის პროგრამის გამოყენებით კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების გამოვლენის კუთხით.

[1] *Commission Notice on immunity from fines and reduction on fines in cartel cases (OJC298, 8.12.2006)* *იხ.* shorturl.at/gxHI8

[2] *იხ.* shorturl.at/jnrS5

1. თანამშრომლობის პროგრამის არსი

კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებები კონკურენციის კანონმდებლობის ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან დარღვევას წარმოადგენს, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასთან ერთად. კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებები, რომლებიც, თავის მხრივ, იყოფა კონკურენციის შემზღუდველი მიზნისა და შედეგის მქონე შეთანხმებებად, აზიანებს როგორც მთლიან ბაზარს, კონკურენტებს და პოტენციურ კონკურენტებს, ასევე, მომხმარებელს.

საქართველოს კანონმდებლობაში კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებები მოცემულია კანონის მე-7 მუხლში.[3] ამდენად, თანამშრომლობის პროგრამა ვრცელდება სწორედ ამ კონკრეტული მუხლის დარღვევაზე.

თანამშრომლობის პროგრამა, მისი სარგებლიანობის გამო, მსოფლიოს მრავალმა იურისდიქციამ შეიმუშავა და დანერგა. პროგრამა ხელს უწყობს შეთანხმების მონაწილეებს, აღიარონ თავიანთი ქმედება. ის წარმოადგენს ე.წ. „ინსაიდერული“ ინფორმაციისა და მტკიცებულებების პირველწყაროდან მოპოვების საუკეთესო საშუალებას. გარდა ამისა, თანამშრომლობის პროგრამას გააჩნია შემაკავებელი ეფექტი იმ ეკონომიკური აგენტებისათვის, ვისაც განზრახული ჰქონდა შეთანხმებაში მონაწილეობა. შეთანხმების ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ მისი მონაწილეები ცდილობენ მის საიდუმლოდ შენახვას. შესაბამისად, კონკურენციის ორგანოებისთვის ძალიან რთულია მათი გამოვლენა და დამტკიცება – პირდაპირი მტკიცებულებების მოპოვების გზით. ამდენად, თანამშრომლობის პროგრამა წარმოადგენს იმგვარ მექანიზმს, რომელიც თანაბრად მომგებიანია, როგორც კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელი უწყებისათვის, ასევე, ეკონომიკური აგენტებისათვის.

- მოკვლევის სხვა მეთოდების გამოყენებისაგან განსხვავებით, კონკურენციის უწყებებს შეუძლიათ ინფორმაციისა და მტკიცებულებების უფრო სწრაფად და ნაკლები დანახარჯებით მიღება, რაც, საბოლოო ჯამში, დამატებითი საგამოძიებო ზომების გამოყენების გარეშეც, საქმის ეფექტიანი გადაწყვეტის შესაძლებლობას იძლევა. მეორეს მხრივ, იმის სანაცვლოდ, რომ შეთანხმების მონაწილე მხარეებმა კონკურენციის უწყებებს მიაწოდონ სათანადო ინფორმაცია თუ მტკიცებულება, ისინი იღებენ კანონმდებლობის დარღვევისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომების შემსუბუქებას, მაგალითად, ჯარიმის შემცირებას, თავისუფლების აღკვეთას ნაკლები ვადით ან მთლიანად თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან.

ქართული კანონმდებლობა, თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში, ითვალისწინებს შესაბამისი პირისთვის მხოლოდ კანონის მე-7 მუხლის დარღვევისათვის დასაკისრებელი ჯარიმის შემცირების ან/და ჯარიმისგან სრულად გათავისუფლების შესაძლებლობას. თანამშრომლობის პროგრამაში მონაწილეობა პირს არ ათავისუფლებს სამოქალაქო ან/და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან.

[3] *კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, აკრძალულია, ეკონომიკურ აგენტებს შორის ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ფარგლებში დაიდოს ისეთი ხელშეკრულება, მიღებულ იქნეს ისეთი გადაწყვეტილება ან განხორციელდეს ისეთი შეთანხმებული ქმედება, რომლის მიზანია ან შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა. კერძოდ: ა) შესყიდვის ან გაყიდვის ფასის ან სხვა სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება); ბ) წარმოების, ბაზრის, ტექნოლოგიური განვითარების ან ინვესტიციების შეზღუდვა; გ) ბაზრების ან მიწოდების წყაროების მომხმარებლის ტერიტორიული ან სხვა ნიშნით განაწილება; დ) გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციებზე განსხვავებული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება; ე) გარიგების დასადებად მხარისთვის ისეთი დამატებითი პირობის დადგენა/ვალდებულების დაკისრება, რომელსაც გარიგების საგანთან საგნობრივი და კომერციული კავშირი არ აქვს.*

თანამშრომლობის პროგრამის სარგებელი:

- *დარღვევის გამოვლენის გამარტივება* – ხსენებული პროგრამა წარმოადგენს შეთანხმებების გამოვლენის ეფექტიან საშუალებას, ვინაიდან კონკურენციის უწყებებს საშუალება ეძლევათ, ჰქონდეთ პირველწყაროდან მოპოვებული ე.წ. „ინსაიდერული“ ინფორმაცია თუ მტკიცებულებები;
- *სანქციისგან გათავისუფლება* – პროგრამა წარმოადგენს ერთადერთ კანონიერ გზას ეკონომიკური აგენტებისათვის, რომ სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლდნენ დაკისრებული ჯარიმებისგან, კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის მიუხედავად[4];
- *შემაკავებელი ეფექტი* – პროგრამის მიზანია, შეთანხმებაში მონაწილეობა გახადოს ნაკლებად მიმზიდველი, ვინაიდან არსებობს საკმაოდ დიდი რისკი იმისა, რომ მისი რომელიმე წევრი გაამჟღავნებს შეთანხმების არსებობას.

ქართულ კანონმდებლობაში თანამშრომლობის პროგრამის მარეგულირებელი ნორმები მოცემულია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 33[1] მუხლსა და „თანამშრომლობის პროგრამის პირზე გავრცელებისა და პირის „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის დარღვევისთვის ჯარიმის დაკისრებისგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლების გამოყენების წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 22 ოქტომბრის N33 ბრძანებაში (შემდგომში „წესი“).

2. თანამშრომლობის პროგრამით სარგებლობის პირობები

2.1. თანამშრომლობის პროგრამით მოსარგებლე პირები

თანამშრომლობის პროგრამით სარგებლობა შეუძლია პირს, რომელიც წერილობითი ფორმით აღიარებს კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ შეთანხმებაში მონაწილეობას და დააკმაყოფილებს კანონითა და თანამშრომლობის პროგრამის წესით დადგენილ მოთხოვნებს.

თანამშრომლობის პროგრამით სარგებლობის უფლება არ აქვს შეთანხმების ერთადერთ ორგანიზატორს ან/და ინიციატორს, ასევე იმ პირს, რომელმაც სხვა პირებს შეთანხმებაში მონაწილეობა აიძულა.

[4] *Competition Policy International Antitrust Chronicle, September 2015 (1)*

2.2. თანამშრომლობის პროგრამით გათვალისწინებული შეღავათებით სარგებლობის პირობები

კანონის 33[1] მუხლის პირველ პუნქტსა და წესის მე-6 მუხლში მოცემულია ის პირობები, რომლებიც ეკონომიკურმა აგენტმა უნდა შეასრულოს პასუხისმგებლობისაგან გასათავისუფლებლად. იმისათვის, რომ მოიპოვოს პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესაძლებლობა, ეკონომიკურმა აგენტმა უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი პირობები:

- წერილობით უნდა აღიაროს ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ შეთანხმებაში მონაწილეობა;
- სააგენტოს ზეპირად ან/და წერილობით უნდა წარუდგინოს კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული შეთანხმების შესახებ მისთვის ცნობილი, საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია და მტკიცებულება მანამ, სანამ ეს ინფორმაცია და მტკიცებულება სააგენტოსთვის სხვა წყაროდან გახდება ცნობილი;
- საქმის მოკვლევის პროცესში უწყვეტად და შეუზღუდავად უნდა ითანამშრომლოს სააგენტოსთან;
- უნდა შეწყვიტოს კანონის საწინააღმდეგო შეთანხმებაში მონაწილეობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სააგენტო მიიჩნევს, რომ პირის მიერ ამ შეთანხმებაში მონაწილეობის გაგრძელება საქმის მოკვლევას ხელს შეუწყობს;
- არ უნდა გაანადგუროს საქმისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტი და მტკიცებულება;
- არ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია თანამშრომლობის პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე.

2.3. თანამშრომლობის პროგრამით გათვალისწინებული განაცხადის წარდგენა

2.3.1. განაცხადის ფორმა და წარდგენის წესი

> განაცხადის სააგენტოში წარმოდგენა ხდება „თანამშრომლობის პროგრამის პირზე გავრცელებისა და პირის „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის დარღვევისთვის ჯარიმის დაკისრებისგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლების გამოყენების წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 22 ოქტომბრის N33 ბრძანებით დამტკიცებული წესის დანართი N1-ის შესაბამისად.

განაცხადს თან უნდა ერთვოდეს მისი წარმდგენი ფიზიკური პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

- განაცხადის წარმდგენი ფიზიკური პირის მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ფაქტობრივი მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა);
- პირის მონაცემები (სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო კოდი, იურიდიული მისამართი, ხელმძღვანელი პირი და ელექტრონული ფოსტა);
- ინფორმაცია კანონის მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ, მათ შორის:
  - შეთანხმებაში მონაწილე სხვა პირების სახელწოდება და საიდენტიფიკაციო მონაცემები;
  - კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული შეთანხმების და მასში მონაწილე პირთა როლების დეტალური აღწერა;

- ის პროდუქციული და გეოგრაფიული ბაზარი, სადაც ადგილი აქვს შეთანხმებას (არასავალდებულოდ შესავსები ნაწილი);
- შეთანხმების ხანგრძლივობა;
- საქმესთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია;
- მტკიცებულებები სავარაუდო სამართალდარღვევის თაობაზე;

- განაცხადის წარდგენის თარიღი (წელი, რიცხვი, თვე, საათი, წუთი) და ხელმოწერა.

სააგენტოში განაცხადის შემოტანა შესაძლებელია, როგორც წერილობითი, ასევე, ელექტრონული ფორმით. განაცხადის შემოტანა ხდება ინდივიდუალურად, კონკრეტული პირის სახელით.

პირის მიერ სააგენტოსათვის ზეპირი განაცხადით მიმართვის შემთხვევაში, სააგენტოს თანამშრომლის მიერ დგება ოქმი, რომელშიც აისახება პირის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი ინფორმაცია და დანართის სახით დაერთვის შესაბამისი მტკიცებულებები. ოქმს ხელს აწერენ ოქმის შემდგენელი სააგენტოს თანამშრომელი და ზეპირი განაცხადის წარმდგენი პირი.

ზეპირი განაცხადის მიღების დროდ ჩაითვლება ოქმის შედგენის დაწყების დღე, საათი და წუთი.

> სააგენტოში ოფიციალური განაცხადის წარდგენამდე პირს უფლება აქვს მიმართოს მას ანონიმურად და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია თანამშრომლობის პროგრამის შესახებ. თუმცა, დაუშვებელია ოფიციალური განაცხადის ანონიმურად შემოტანა.

სააგენტო უზრუნველყოფს განმცხადებლის კონფიდენციალურობას - თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა დაცულია, ხოლო განაცხადის შემომტანი პირის ვინაობა კონფიდენციალურია სააგენტოს მიერ საქმის მოკვლევის განხორციელების შემდგომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

2.3.2. განაცხადის განხილვის პროცედურა და შეღავათის პირობითი სტატუსი

განაცხადის მიღების შემდეგ, სააგენტო გასცემს წერილობით ცნობას მისი მიღების შესახებ, მიღების თარიღისა და დროის მითითებით.

სააგენტო განაცხადს იხილავს მისი შემოტანის დროის თანმიმდევრობით - შემოტანის თარიღის შესაბამისი რიგითობით.

- თუ განაცხადი არ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ ფორმალურ მოთხოვნებს, სააგენტო მოახდენს განაცხადის მარკირებას და პირს განუსაზღვრავს ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

> მარკირების მიზანი არის, ფორმალურად, განაცხადის შემოტანის რიგითობის პირობითი დაცვა ხარვეზის აღმოფხვრამდე.
>
> ხარვეზის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მარკირება ავტომატურად უქმდება.

- თუ განაცხადი აკმაყოფილებს ფორმალურ მოთხოვნებს - სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პირისთვის თანამშრომლობის პროგრამაში მონაწილის პირობითი სტატუსის მინიჭების შესახებ, სრულყოფილი განაცხადის შემოტანის ან/და მარკირებით განსაზღვრული რიგითობის გათვალისწინებით და წერილობით ატყობინებს პირს აღნიშნულის თაობაზე.

- **პირველი კატეგორიის შეღავათის** პირობითი სტატუსი ენიჭება პირს, რომელიც რიგით პირველი შეიტანს განაცხადს სააგენტოში და მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია არ იქნება სააგენტოსთვის ცნობილი.
- **მეორე კატეგორიის შეღავათის** პირობითი სტატუსი ენიჭება პირს, რომელიც რიგით მეორე შეიტანს განაცხადს. ამასთან, მის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია იქნება განაცხადის შემომტანი რიგით პირველი პირის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შემავსებელი და ამავდროულად, არ იქნება სააგენტოსთვის ცნობილი.
- **მესამე კატეგორიის შეღავათის** პირობითი სტატუსი ენიჭება პირს, თუ ის არის რიგით მესამე და შემდეგი, რომელიც (რომლებიც) შეიტანს განაცხადს. ამასთან, მის მიერ მოწოდებული ინფორმაცია იქნება უფრო ადრე გაცხადებული ინფორმაციის შემავსებელი და ამავდროულად, არ იქნება სააგენტოსთვის ცნობილი.

ამდენად, თუ პირველი და მეორე კატეგორიის შეღავათის სტატუსის მინიჭება ხდება მხოლოდ ერთ პირზე, მესამე კატეგორიის შეღავათით სარგებლობა შეუძლია რამოდენიმე პირსაც.

შეღავათის სტატუსის პირობითი ხასიათი განპირობებულია იმ გარემოებით, რომ პირმა საქმის მოკვლევის პროცესში, სრულად უნდა შეასრულოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები თანამშრომლობის პროგრამით გათვალისწინებული ბენეფიტის მისაღებად. (იხ. ქვეთავი 2.2.) თუ პირი არ შეასრულებს პირობებს – პირობითი სტატუსი უქმდება და ენიჭება რიგით მის შემდგომ მყოფ პირს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

პირს უფლება აქვს განაცხადის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე უკან გაიხმოს განაცხადი. განაცხადის უკან გახმობის მიუხედავად, სააგენტო იტოვებს პირის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციასა და მტკიცებულებებს საქმის მოკვლევისათვის. აღნიშნულ შემთხვევაში, განაცხადის შემომტანი პირის ვინაობა რჩება ანონიმური.

- თუ საქმის მოკვლევა ჯერ არ არის დაწყებული და განაცხადი შეიცავს შესაბამის ინფორმაციას, სააგენტო უფლებამოსილია, დაიწყოს საქმის მოკვლევა კანონის შესაბამისად. ამ დროს საქმის მოკვლევა დაწყებულად ითვლება სააგენტოს ინიციატივით.

3. სააგენტოს გადაწყვეტილება

საქმის მოკვლევის დასრულებისთანავე, თუ დადგინდა კანონის მე-7 მუხლის დარღვევა, სააგენტო აფასებს პირის მიერ თანამშრომლობის პროგრამით დადგენილი პირობების შესრულებას და იღებს გადაწყვეტილებას ჯარიმისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლების შესახებ.

კერძოდ, სააგენტო საქმის მოკვლევის დასრულების თაობაზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების ფარგლებში, ჯარიმის დაკისრების ნაწილში, ასევე მსჯელობს თანამშრომლობის პროგრამაში მონაწილე პირისათვის შეღავათის საბოლოო კატეგორიის მინიჭების თაობაზე. კერძოდ:

- პირველი კატეგორიის შეღავათის პირობითი სტატუსის მქონე პირს ენიჭება პირველი კატეგორიის შეღავათი - რაც გულისხმობს დაკისრებული ჯარიმისგან მის გათავისუფლებას 100%-ით;
- მეორე კატეგორიის შეღავათის პირობითი სტატუსის მქონე პირს ენიჭება მეორე კატეგორიის შეღავათი - რაც გულისხმობს დაკისრებული ჯარიმისგან მის გათავისუფლებას 20%-დან 50%-მდე;
- მესამე კატეგორიის შეღავათის პირობითი სტატუსის მქონე პირს/პირებს ენიჭება/ენიჭებათ მესამე კატეგორიის შეღავათი - რაც გულისხმობს დაკისრებული ჯარიმისგან მის/მათ გათავისუფლებას 20%-მდე.

4. საერთაშორისო მიმოხილვა

4.1. სტატისტიკური ინფორმაცია

როგორც უკვე აღინიშნა, თანამშრომლობის პროგრამა არის ის ინსტრუმენტი, რომელიც წარმატებით გამოიყენება კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების გამოვლენისას და აპრობირებულია არამარტო ევროკავშირის წევრი ქვეყნების, არამედ თითქმის მთელი მსოფლიოს კონკურენციის ორგანოების მიერ.

ამერიკის შეერთებული შტატების მიერ 1978 წელს შემოღებული წარმატებული თანამშრომლობის პროგრამის მაგალითზე, ევროკომისიამ 1996 წლის ივლისში შეიმუშავა ევროპის თანამშრომლობის პროგრამა[5]. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, თანამშრომლობის პროგრამა სულ უფრო ხშირად და მზარდი მაჩვენებლით ინერგება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების კონკურენციის უწყებების მიერ, როგორც შეთანხმების გამოვლენის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტი.[6]

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ინფორმაციით, 2015-2020 წლებში 50-მდე ქვეყნის იურისდიქციაში, კონკურენციის აღმასრულებელ უწყებებს მიღებული აქვთ მნიშვნელოვანი რაოდენობის განცხადებები.[7]



[5] *The EU Leniency Programme and Recidivism* იხ. shorturl.at/djoCS

[6] *იხ.* shorturl.at/ijm[46]

[7] *სტატისტიკური მონაცემები ხელმისაწვდომია: OECD Competition Trends 2022. იხ.* shorturl.at/citMN

რაც შეეხება აღსრულების ნაწილს ევროკავშირში, კარტელურ შეთანხმებებთან დაკავშირებით ევროკომისიის 52 გადაწყვეტილებიდან, რომელიც მიღებულ იქნა 2004-2014 წლებში, საქმეების 94%-ში სულ მცირე ერთმა ეკონომიკურმა აგენტმა მაინც გააკეთა თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში განაცხადი. ხსენებულ 52 საქმეში ჯამში 333 ეკონომიკური აგენტი იყო ჩართული, რომელთაგანაც 56%-მა მიმართა ევროკომისიას თანამშრომლობის პროგრამის განაცხადით. ეკონომიკური აგენტების 46%-ზე გავრცელდა შეღავათები, მათ შორის, 11% სრულად გათავისუფლდა სანქციისაგან. საშუალოდ, 186 ეკონომიკურ აგენტს, რომლებმაც ითანამშრომლეს ევროკომისიასთან თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში, 37,9%-ით შეუმცირდა ჯარიმა[8].

უმეტეს შემთხვევაში, როდესაც ევროკომისია პასუხისმგებლობისაგან სრულად ათავისუფლებს ეკონომიკურ აგენტებს თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში გაკეთებული განაცხადის გამო, 30%-დან 50%-მდე შეღავათები ასევე ვრცელდება პროგრამაში ჩართულ მეორე ეკონომიკურ აგენტზე. ხშირად, 20%-დან 30%-მდე შეღავათს მესამე კატეგორიის ეკონომიკური აგენტებიც იღებენ და რიგ შემთხვევებში, შემდეგ საფეხურზე გაკეთებული განაცხადის ავტორებსაც უმცირდებათ ჯარიმა 20%-მდე. გარდა ამისა, ევროკომისიის პრაქტიკაში არის საქმეები, რომლებშიც შეთანხმების არც ერთი მონაწილე არ თავისუფლდება ჯარიმისაგან 100%-ით, თუმცა, მიუხედავად ამისა, ერთი ან რამდენიმე ეკონომიკური აგენტი მაინც იღებს ნაწილობრივ შეღავათს[9].



[8] *Wouter Wils, The use of leniency in EU cartel enforcement: An assessment after twenty years?, February 2017, Concurrences Review N° 1-2017, Art. N° 83458, www.concurrences.com* იხ. *shorturl.at/knuJ7*

[9] *სტატისტიკური მონაცემები ხელმისაწვდომია: იქვე.*

ბრაზილიის ეკონომიკური თავდაცვის ადმინისტრაციული საბჭოს (CADE) სტატისტიკური მონაცემებით, 2003-2021 წლებში კონკურენციის უწყებას მიღებული აქვს ორას ერთი განაცხადი[10]:



ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ თანამშრომლობის პროგრამა სარგებლის მომტანია არამარტო კონკურენციის კანონმდებლობის აღმასრულებელი ორგანოსათვის, არამედ განაცხადის შემომტანი სუბიექტისთვისაც. საბოლოო ჯამში, ხსენებული პროგრამის ეფექტიანი მოქმედება ბაზარზე თავისუფალი კონკურენტული გარემოს შექმნასა და შენარჩუნებას უწყობს ხელს.

[10] *სტატისტიკური მონაცემები ხელმისაწვდომია: shorturl.at/lrT[68]*

4.2. ევროკომისიის გადაწყვეტილებები

წინამდებარე ქვეთავში წარმოდგენილია ევროკომისიის რამდენიმე გადაწყვეტილება ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 101-ე მუხლის დარღვევაზე, რომელიც თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში მიწოდებული ინფორმაციით გამოვლინდა:

საქმე N1: - 2016 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ევროკომისიამ, ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევისათვის, კომპანიები Sony, Panasonic და Sanyo 166 მილიონი ევროთი დააჯარიმა[11]. საქმე ეხებოდა აღნიშნულ კომპანიებსა და Samsung SDI-ის შორის სენსიტიური ინფორმაციის გაცვლასა და ფასებზე შეთანხმებას მრავალჯერადი ლითიუმის დამტენ (lithium-ion batteries) მოწყობილობაზე, რომელიც გამოიყენება პერსონალური კომპიუტერებისა და მობილური ტელეფონებისათვის. Samsung SDI არ დაჯარიმდა, რადგან პირველმა აღიარა შეთანხმებაში მონაწილეობა თანამშრომლობის პროგრამის მეშვეობით, ხოლო ყველა სხვა კომპანიას, მათი აღიარების თანმიმდევრობის შესაბამისად, შეუმცირდა ჯარიმის ოდენობა.

კომპანია	თანამშრომლობის პროგრამით მიღებული შეღავათი	ჯარიმის ოდენობა (ევრო)
Samsung SDI	100%	0
Sony	50%	29 802 000
Panasonic	20%	38 890 000
Sanyo	20%	97 149 000

საქმე N2: - 2016 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილებით, ევროკომისიამ დაადგინა, რომ კომპანიები MAN, Volvo/Renault, Daimler, Iveco და DAF არღვევდნენ კონკურენციის კანონმდებლობას[12]. კერძოდ, ხსენებული კომპანიები 14 წლის მანძილზე შეთანხმებულები იყვნენ სატვირთო მანქანების ფასზე. ევროკომისიამ გამოიყენა ჯარიმის რეკორდული ოდენობა - 2 926 499 000 ევრო. კომპანია MAN არ დაჯარიმდა, რადგან პირველმა აღიარა შეთანხმებაში მონაწილეობა თანამშრომლობის პროგრამის მეშვეობით, ხოლო ყველა სხვა კომპანიას, აღიარების თანმიმდევრობის შესაბამისად, შეუმცირდა ჯარიმის ოდენობა.

კომპანია	თანამშრომლობის პროგრამით მიღებული შეღავათი	ჯარიმის ოდენობა (ევრო)
MAN	100%	0
Volvo/Renault	40%	670 448 000
Daimler	30%	1 008 766 000
Iveco	10%	494 606 000
DAF		752 679 000

[11] *იხ. shorturl.at/eDRSU*

[12] *იხ. shorturl.at/aceL⁴*

საქმე N3: - 2016 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებით, ევროკომისიამ, ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევისათვის, კომპანიები Melco (Mitsubishi Electric) და Hitachi კომპანია Denso-სთან კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების გამო, 137 789 000 ევროთი დააჯარიმა[13]. Denso არ დაჯარიმდა, რადგან პირველმა აღიარა შეთანხმებაში მონაწილეობა თანამშრომლობის პროგრამის მეშვეობით, ხოლო ყველა სხვა კომპანიას, მათი აღიარების თანმიმდევრობის შესაბამისად, შეუმცირდა ჯარიმის ოდენობა.

კომპანია	თანამშრომლობის პროგრამით მიღებული შეღავათი	ჯარიმის ოდენობა (ევრო)
Denso	100%	0
Hitachi	30%	26 860 000
Melco	28%	110 929 000

[13] *იხ. shorturl.at/vzGH0*

(032) 244 07 70 (21 74)

info@gnca.gov.ge

www.gnca.gov.ge

https://bit.ly/37SCd22

https://bit.ly/3rZdxvL

https://bit.ly/37SCd22

0102 ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირი - 154.
ბიზნეს ცენტრი “მწვანე ოფისი”, მე-10 სართული